

ანოტაცია

კლასტრუმი არის ტელენცეფალური ქერქქვეშა სტრუქტურული კომპლექსი, ის არის თხელი, უსწორმასწორო, ნეირონების ერთობლიობა, რომელიც მიბმულია ნეოკორტექსის ზემოთ თავის ტვინის ცენტრალურ ნაწილში. კლასტრუმი მილიმეტრის სიდიდის ფრაქციაა, რამდენიმე მილიმეტრის სიღრმით და არის ვერტიკალურად მრუდხაზოვანი ქერქქვეშა რუხი ნივთიერების, რომელიც ორიენტირებულია საგიტალურად გარეთა კაფსულასა და განაპირა კაფსულას შორის არსებული თეთრი ნივთიერების სივრცეების მიმართ. კლასტრუმი არის ლატერალურად პუტამენის მიმართ და მედიალურად კუნძულოვანი ქერქის მიმართ, რამდენიმე წყაროს მისხედვით იგი ითვლება ბაზალური განგლიის ნაწილად. ლატერალური და მედიალური სივრცეები აკავშირებს კლასტრუმს ქერქის ბევრ ნაწილთან და შესაძლოა ჰიპოკამპთან, ამიგდალასა და კუდიანი ბირთვის (დაკავშირება ქერქქვეშა ცენტრთან განხილვის საგანია).

კლასტრუმის ერთერთი საინტერესო მახასიათებელი არის უჯრედების ტიპების ერთგვაროვნება, რაც მიუთითებს კლასტრუმის ყველა ნეირონის გენერაციის ერთგვაროვნებაზე.